სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2016 წლის 23 დეკემბერი

ქ. სენაკი

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 დეკემბრის №44 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. 28/12/2015 სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.108.016249) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) შემცირდეს: სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 4,3 ათასი ლარით და ის ადრე დამტკიცებული 11838,4 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 11834,1 ათასი ლარით, მათ შორის:

ა.ა) გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა 4,3 ათასი ლარით, აქედან: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა.

ბ) შესაბამისად შემცირდეს:

ბ.ა) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის (კოდი 03 00) 4,3 ათ.ლარით, კერძოდ: გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვა (კოდი 03 01) არაფინანსური აქტივების ზრდა 2,0 ლარით; მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (კოდი 03 06) არაფინანსური აქტივების ზრდა 2,3 ლარით.

გ) შემცირდეს კულტურული ღონისძიებების პროგრამაში (კოდი 05 02 01) გათვალისწინებული სუბსიდიის მუხლი 0,2 ათ.ლარით და, შესაბამისად, გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 0,2 ათ.ლარით.

დ) შემცირდეს: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (კოდი 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლი 0,5 ათ.ლარით და შესაბამისად გაიზარდა სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 0,5 ათ.ლარით; სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის (კოდი 01 02) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი 0,4 ათ.ლარით და, შესაბამისად, გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 0,4 ათ.ლარით;

ე) შემცირდეს ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში (კოდი 05 01 02) სუბსიდიის მუხლი 8,5 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 8,5 ათ. ლარით;

ვ) შემცირდეს მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამაში (კოდი 04 03) სუბსიდიის მუხლი 0,9 ათ.ლარით და, შესაბამისად, გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 0,9 ათ.ლარით;

ზ) შემცირდეს მუნიციპალიტეტის გამგეობის (კოდი 01 02) ხარჯების მუხლი 1,1 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1,1 ათ. ლარით;

თ) შემცირდეს კულტურულ ღონისძიებათა პროგრამაში (კოდი 05 02 01) სუბსიდიის მუხლი 4,9 ათ. ლარით და, შესაბამისად, გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 4,9 ათ.ლარით;

ი) შემცირდეს განათლების ღონისძიებების პროგრამა (კოდი 04 04) 5,1 ათ.ლარით; კულტურული

ღონისძიებების პროგრამა (კოდი 05 02 04) 11,3 ათ. ლარით; სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა (კოდი 04 05) 0,4 ათ.ლარით; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (კოდი 05 03) 2,9 ათ. ლარით; სპორტული ღონისძიებების პროგრამა (კოდი 05 01 03) 0,8 ათ.ლარით, სულ 20,5 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (კოდი 03 04) 20,5 ათ. ლარით;

კ) შემცირდეს სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამაში (კოდი 04 01) სხვა ხარჯების მუხლი 5,0 ათ.ლარით და შესაბამისად გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5,0 ათ.ლარით;

ლ) შემცირდეს მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამაში (კოდი 04 03) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1,1 ათ. ლარით და გაიზარდოს სუბსიდიის მუხლი 1,1 ათ. ლარით;

მ) შემცირდეს მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურებისა და მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამაში (კოდი 06 02 01) სუბსიდიის მუხლი 5,5 ათ.ლარით და შესაბამისად გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5,5 ათ.ლარით;

ნ) შემცირდეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში (კოდი 03 04) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 20,3 ათ.ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 20,3 ათ.ლარით;

ო) შემცირდეს: სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა, (კოდი 06 02 07) 2, 4 ათ. ლარით; თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 10) 0,6 ათ. ლარით; იშვიათი დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 11) 1,4 ათ. ლარით; მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 12) 2,0ათ. ლარით; დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 13) 1,2 ათ. ლარით; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 14) 3,2 ათ. ლარით;

პ) ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 15) 2,3 ათ. ლარით, სულ 13,1 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს: შობადობის წახალისების პროგრამა (კოდი 06 02 02) 3,0 ათ. ლარით; სადღესასწაულო დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 05) 0,6 ათ. ლარით; ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა (კოდი 06 02 08) 8,5 ათ. ლარით; ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 06) 1,0 ათ. ლარით;

ჟ) შემცირდეს: არაფინანსური აქტივების კლება 5800 ათ. ლარით; საშემოსავლო გადასახადი 208,7 ათ. ლარით; ეკონომიკურ საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე 1,9 ათ. ლარით; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (ფიზიკური პირებიდან) 2,5 ათ. ლარით; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,4 ათ. ლარით; ჯარიმები, სანქციები და საურავები 69,7 ათ,ლარით; სანებართვო მოსაკრებელი 1,9 ათ. ლარით; სულ 289,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 68,0 ათ. ლარით; არაეკონომიკურ საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე 6,3 ათ. ლარით; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (ფიზიკური პირებიდან) 11,0 ათ. ლარით; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (იურიდიული პირებიდან) 42,0 ათ. ლარით; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (იურიდიული პირებიდან) 139,0 ათ. ლარით; მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 22,7 ათ. ლარით;

რ) შემცირდეს სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა (კოდი 05 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 0,4 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ხარჯების მუხლი 0,4 ათ.ლარით;

ს) შემცირდეს კულტურულ ღონისძიებათა პროგრამაში (კოდი 05 02 01) სუბსიდიის მუხლი 0,1 ათ. ლარით და, შესაბამისად, გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 0,1 ლარით;

ტ) შემცირდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (კოდი 01 01) საქონელი და მომსახურების ხარჯების მუხლი 26,3 ათ.ლარით და, შესაბამისად, გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 26,3 ათ.

ლარით;

უ) შემცირდეს: მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოების სხვა ხარჯების მუხლი 3,8 ათ.ლარით; კულტურულ ღონისძიებათა პროგრამა (კოდი 05 02 04) 6,8 ათ.ლარით, სულ 10,6 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის (კოდი 01 02) შრომის ანაზღაურების მუხლი 10,6 ათ. ლარით.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ჯუმბერი ლაშქარავა**

დანართი

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10208,3	10768,9	3861,1	6907,8	11756,8	3977,4	7779,4
გადასახადები	1205,9	1153,1	0,0	1153,1	3150,3	0,0	3150,3
გრანტები	7876,1	8958,9	3861,1	5097,8	8186,1	3977,4	4208,7
სხვა შემოსავლები	1126,3	657,0	0,0	657,0	420,4	0,0	420,4
ხარჯები	6888,5	7554,2	321,8	7232,4	7972,9	469,4	7503,5
შრომის ანაზღაურება	2057,3	1916,5	0,0	1916,5	2190,7	0,0	2190,7
საქონელი და მომსახურება	829,3	724,9	0,0	724,9	745,7	0,0	745,7
სუბსიდიები	3559,1	3645,1	0,0	3645,1	3728,8	0,0	3728,8
გრანტები	0,0	442,5	0,0	442,5	229,5	0,0	229,5
სოციალური უზრუნველყოფა	442,7	380,7	0,0	380,7	491,4	0,0	491,4

სხვა ხარჯები	0,0	444,4	321,8	122,6	586,7	469,4	117,3
საოპერაციო სალდო	3319,8	3214,7	3539,2	-324,5	3783,9	3508,0	276,0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3274,9	3561,8	3539,2	22,5	3787,0	3508,0	279,1
ზრდა	3315,9	3700,1	3539,2	160,9	3861,2	3508,0	353,3
კლება	41,0	138,4	0,0	138,4	74,2	0,0	74,2
მთლიანი სალდო	44,9	-347,0	0,0	-347,0	-3,1	0,0	-3,1
ფინანსური აქტივების ცვლილება	55,4	-355,0	0,0	-355,0	-3,1	0,0	-3,1
ზრდა	114,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	114,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	59,5	355,0	0,0	355,0	3,1	0,0	3,1
ვალუტა და დეპოზიტები	59,5	355,0	0,0	355,0	3,1	0,0	3,1
ვალდებულებების ცვლილება	10,4	-8,0	0,0	-8,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	8,0	0,0	8,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	8,0	0,0	8,0	0,0	0,0	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

		2015 წლის ფაქტი	2016 წლის პროგნოზი

დასახელება	2014 წლის ფაქტი						
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10259,7	10907,3	3861,1	7046,2	11831,0	3977,4	7853,6
შემოსავლები	10208,3	10768,9	3861,1	6907,8	11756,8	3977,4	7779,4
არაფინანსური აქტივების კლება	41,0	138,4	0,0	138,4	74,2	0,0	74,2
ფინანსური აქტივების კლება	0,0						
ვალდებულებების ზრდა	10,4	0,0		0,0			
გადასახადები	10204,4	11262,3	3861,1	7401,2	11834,1	3977,4	7856,7
ხარჯები	6888,5	7554,2	321,8	7232,4	7972,9	469,4	7503,5
არაფინანსური აქტივების ზრდა	3315,9	3700,1	3539,2	160,9	3861,2	3508,0	353,3
ვალდებულებების კლება	0,0	8,0		8,0	0,0		0,0
ნაშთის ცვლილება	55,4	-355,0	0,0	-355,0	-3,1	0,0	-3,1

მუხლი 3. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11756,8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 ფაქტი			2016 გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	1	7225,5	10768,9	3861,1	6907,8	11756,8	3977,4	7779,4
გადასახადები	11	1205,9	1153,1	0,0	1153,1	3150,3	0,0	3150,3
გრანტები	13	4893,3	8958,9	3861,1	5097,8	8186,1	3977,4	4208,7
სხვა შემოსავლები	14	1126,3	657,0	0,0	657,0	420,4	0,0	420,4

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 3150,3 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 ფაქტი			2016 გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	1205,9	1153,1	0,0	1153,1	3150,3	0,0	3150,3
საშემოსავლო გადასახადი	11111					893,2		893,2
ქონების გადასახადი	113	1205,9	1153,1	0,0	1153,1	2257,1	0,0	2257,1
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131101	743,0	671,1		671,1	1695,7		1695,7
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	8,2	13,9	0,0	13,9	11,4	0,0	11,4
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	11311031	2,1	4,1		4,1	0,1		0,1
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	11311032	6,1	9,8		9,8	11,3		11,3
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131104	284,1	294,0	0,0	294,0	298,0	0,0	298,0
ფიზიკური პირებიდან	11311041	172,2	175,8		175,8	151,0		151,0
იურიდიული პირებიდან	11311042	111,9	118,2		118,2	147,0		147,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131105	170,5	174,1	0,0	174,1	252,0	0,0	252,0
ფიზიკური პირებიდან	11311051	19,9	21,3		21,3	15,5		15,5
იურიდიული პირებიდან	11311052	150,6	152,7		152,7	236,5		236,5

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 8186,1 ათასი ლარის ოდენობით.

			2015 ფაქტი	2016 გეგმა

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	4893,3	8958,9	3861,1	5097,8	8186,1	3977,4	4208,7
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	4893,3	8958,9	3861,1	5097,8	8186,1	3977,4	4208,7
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	4893,3	5097,8	0,0	5097,8	4208,7	0,0	4208,7
გათანაბრებითი ტრანსფერი	1331111	4698,3	4902,8		4902,8	4013,7		4013,7
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1331112	195,0	195,0		195,0	195,0		195,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	0,0	3861,1	3861,1	0,0	3977,4	3977,4	0,0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი			2882,2	2882,2		2333,0	2333,0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა			671,3	671,3		653,8	653,8	
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი			0,0			0,0		
მთავრობის სარეზერვო ფონდი			0,0			0,0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი			307,6	307,6	0,0	990,5	990,5	0,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 420,4 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 ფაქტი			2016 გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები

				ტრანსფერები			ტრანსფერები	
სხვა შემოსავლები	14	1126,3	657,0	0,0	657,0	420,4	0,0	420,4
შემოსავლები საკუთრებიდან	141	37,7	115,3	0,0	115,3	137,8	0,0	137,8
პროცენტები	1411		2,8		2,8	25,0		25,0
დივიდენდები	1412	-20,0	0,0			0,0		
რენტა	1415	57,7	112,5	0,0	112,5	112,8	0,0	112,8
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	47,0	100,1		100,1	81,8		81,8
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	10,6	12,4		12,4	31,0		31,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159		0,0			0,0		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	176,7	51,5	0,0	51,5	42,7	0,0	42,7
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	168,4	43,4	0,0	43,4	35,1	0,0	35,1
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	14222		0,0			0,0		
სანებართვო მოსაკრებელი	14223	47,9	10,0		10,0	13,1		13,1
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0,4	0,4		0,4	0,0		0,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	90,0	5,2		5,2	0,0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	30,2	27,9		27,9	22,0		22,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	8,3	8,1	0,0	8,1	7,6	0,0	7,6

შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	14231	0,6	0,0			0,0		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	7,7	8,1		8,1	7,6		7,6
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	857,2	480,4		480,4	239,9		239,9
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144		0,0			0,0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	54,7	9,7		9,7	0,0		

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7972,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6888,5	7554,2	321,8	7232,4	7972,9	469,4	7503,5
შრომის ანაზღაურება	2057,3	1916,5	0,0	1916,5	2190,7	0,0	2190,7
საქონელი და მომსახურება	829,3	724,9	0,0	724,9	745,7	0,0	745,7
სუბსიდიები	3559,1	3645,1	0,0	3645,1	3728,8	0,0	3728,8
გრანტები	0,0	442,5	0,0	442,5	229,5	0,0	229,5
სოციალური უზრუნველყოფა	442,7	380,7	0,0	380,7	491,4	0,0	491,4
სხვა ხარჯები	0,0	444,4	321,8	122,6	586,7	469,4	117,3

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 0

მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3861,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

ორგანი-ზაციული კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის პროგნოზი			2016 წლის პროგნოზი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	130,0	37,8	0,0	37,8	5,1	0,0	5,1
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3149,7	3626,3	3539,2	87,0	3812,9	3508,0	305,0
04 00	განათლება	22,8	0,0	0,0	0,0	9,7	0,0	9,7
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	11,0	36,0	0,0	36,0	18,0	0,0	18,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,000	0,000	0,000	15,5	0,0	15,5

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 74,2

დასახელება	კოდი	2014 წლის ფაქტი	2015 ფაქტი	2016 გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	31	41,0	138,4	74,2
ძირითადი აქტივები	311		51,0	0,0
მატერიალური მარაგები	312		0,0	0,0
ფასეულობები	313		0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	314	41,0	87,4	74,2
მიწა	3141	41,0	87,4	74,2
სხვა ბუნებრივი აქტივები	3143		0,0	0,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 ფაქტი			2016 გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2554,5	2597,4	0,0	2597,4	2768,6	0,0	2768,6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2510,5	2589,5	0,0	2589,5	2767,6	0,0	2767,6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2510,5	2589,5	0,0	2589,5	2764,9	0,0	2764,9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	2,7	0,0	2,7
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	44,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	44,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	8,0		8,0	1,0		1,0
702	თავდაცვა	98,2	101,8	0,0	101,8	100,6	0,0	100,6
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	375,2	285,0	0,0	285,0	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	375,2	285,0	0,0	285,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3131,4	3769,3	3707,4	61,9	4202,0	3920,1	282,0

7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	3,6	0,0	3,6	4,0	0,0	4,0
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	3,6		3,6	4,0		4,0
7045	ტრანსპორტი	2138,0	2428,0	2419,1	8,9	2116,8	1882,3	234,5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2138,0	2428,0	2419,1	8,9	2116,8	1882,3	234,5
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	993,4	1337,7	1288,3	49,4	2081,3	2037,8	43,5
705	გარემოს დაცვა	772,0	825,3	0,0	825,3	894,9	0,0	894,9
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	772,0	825,3		825,3	894,9		894,9
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	25,1	206,9	153,7	53,3	50,9	0,0	50,9
7061	ბინათმშენებლობა	8,4	75,0	75,0	0,0	3,9	0,0	3,9
7063	წყალმომარაგება	0,00	48,5		48,5	40,0		40,0
7064	გარე განათება	9,9	78,7	78,7	0,0	0,0	0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	6,8	4,7	0,0	4,7	7,0	0,0	7,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	113,4	124,7	0,0	124,7	139,5	0,0	139,5
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	113,4	124,7	0,0	124,7	139,5	0,0	139,5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1329,8	1486,0	0,0	1486,0	1476,5	0,0	1476,5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	518,0	656,0	0,0	656,0	615,7	0,0	615,7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	653,0	705,0	0,0	705,0	722,2	0,0	722,2
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	32,0	0,0	32,0	32,0	0,0	32,0

7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	158,8	93,0		93,0	106,6		106,6
709	განათლება	1214,2	1222,9	0,0	1222,9	1416,1	57,3	1358,8
7091	სკოლამდელი აღზრდა	1072,7	1058,8	0,0	1058,8	1158,8	0,0	1158,8
7092	ზოგადი განათლება	56,5	59,6	0,0	59,6	60,0	0,0	60,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	56,5	59,6	0,0	59,6	60,0	0,0	60,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	85,0	104,5	0,0	104,5	197,3	57,3	140,0
710	სოციალური დაცვა	590,7	642,9	0,0	642,9	784,9	0,0	784,9
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	86,1	213,5	0,0	213,5	385,8	0,0	385,8
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	86,1	199,4	0,0	199,4	364,9	0,0	364,9
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0,0	14,1	0,0	14,1	20,9	0,0	20,9
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	3,7	0,0	3,7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	9,0	37,0	0,0	37,0	40,8	0,0	40,8
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	495,6	392,4	0,0	392,389	354,6	0,0	354,6
	სულ	10204,4	11262,3	3861,1	7401,2	11834,1	3977,4	7856,7

მუხლი 10. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო არის -3,1 ათ.ლარით.

მუხლი 11. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 3,1 ათ.ლარით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 3,1 ათ.ლარით.

მუხლი 12. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ათ.ლარით.

მუხლი 13. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 2,7 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი
1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 195,0 ათასი ლარი მიიმართოს:
ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელე ბისათვის 102,0 ათასი ლარი;
ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ და საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 79,5 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 13,5 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

თავი II
სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები
1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის სენაკის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.
1.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის სენაკის მუნიციპალიტეტში ხორციელდება გაწვევის პუნქტებამდე წვევამდელების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, მოეწყობა სპორტული მოედნები, დაფინანსდება ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სხვადასხვა პროექტები, ინფრასტრუქტურული სამუშაოების თანადაფინანსება.

2.1. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში რეაბილიტრებული იქნება ძირითადი გზები, ასფალტო-ბეტონის საფარი დაიგება ქალაქის ქუჩებში, საერთო საცხოვრებელი სახლების ეზოებში დაიგება ასფალტის საფარი, მოიხრეშება და მოწესრიგდება თემების/სოფლის შიდა საუბნო გზები.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია.

2.2.1. კეთილმოწყობის, დასუფთავების და გამწვანების მოვლა-პატრონობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, როგორც საცხოვრებელი სახლების ეზოებიდან ასევე ქალაქის სხვა ტერიტორიიდან. აგრეთვე გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების აღდგენა, სკვერების პარკებისა და გამწვანების ობიექტების რეაბილიტაცია. შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქისგაფორმება და სხვა ღონისძიებები.

2.2.2. უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში ხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება

2.3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამა ითვალიწინებს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა თემში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ წარდგენილი პრიორიტეტების გათვალისწინებით კერძოდ, გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა, სასაფლაოების შემოღობვა, საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების, მინი სპორტული მოედნების მოწყობა და სხვა.

2.4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

2.5. სოფლის მეურნეობა (პროგრამული კოდი 03 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: მუნიციპალიტეტში ვაზისა და ხეხილის ეროვნული სანერგე მეურნეობიდან თანამედროვე სანერგე მასალის შეძენა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა ტერიტორიული ორგანოებსა და სააღმზრდელო დაწესებულებებში; ტერიტორიული ორგანოების სპეციალისტების გადამზადება ხეხილის ნერგების გასხვლა-მოყვანის შესწავლის მიზნით; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით დაინტერესებული პირების გაყვანა სხვადასხვა რეგიონებში აგრარული სექტორის მიღწევების გაცნობის მიზნით; სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ფესტივალებსა (ქართული ყველის, ქართული ღვინის) და სერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერ განვითარებას ხელს უწყობს ა.ი.პ. „სენაკის

მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“, რომელიც ფინანსდება სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

3.1. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

მომავალი თაობების აღზრდაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს განსაკუთრებული როლი ეკისრება. ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს მის ფიზიკურ, გონებრივ და ესტეტიკურ განვითარებას. აქედან გამომდინარე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაებს განსაკუთრებული როლი ეკისრება ბავშვის განვითარებაში. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი სწორედ საბავშვო ბაღებში ხდება. აქ ეყრება საფუძველი მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და მის სკოლამდელ აღზრდას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1350 ბავშვი. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს, მათ შორის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ასევე ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯს.

3.2. საჯარო სკოლების პედაგოგებზე დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქიდან თემში და თემიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მასწავლებელთა სუბსიდირება.

3.3. მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03)

თავისუფალი დროის სწორი დაგეგმვა და მისი სწორად გამოყენება ერთ-ერთი მათავარი პრიორიტეტია მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლებისათვის. თანამედროვე ახალგაზრდებში ესთეტიკური დონის ამაღლებისა და სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის ცენტრი თავის აღსაზრდელებთან ერთად მართავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. თითოეული ღონისძიება ითვალისწინებს მოსწავლის მეტყველების დახვეწას, სასცენო კულტურის შეძენას. სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებს: უფროსკლასელთა ინტელექტუალური კლუბი, სადაც ხდება შერჩევა ინტელექტუალური კონკურსისათვის ,,საქართველოს ნიჭიერი თაობა“; ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრე, წრის მიზანია მოსწავლეებმა შეისწავლონ სხვადასხვა კუთხის ცეკვები, მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ ფესტივალებსა და კონკურსებში, საქართველოში და ქვეყნის გარეთ; საესტრადაო სიმღერების შემსწავლელი წრე, ასწავლიან მოსწავლეებს ქართულ სიმღერებს, რათა მათ შეძლონ მრავალხმიანობის გამოცნობა და შესაბამისად თვითონაც შეასრულონ იგი; საესტრადო საკრავების წრე, ხელს უწობს მოსწავლეთა მუსიკალური დონის ამაღლებას, მუსიკისა და სიმღერისადმი დაინტერებას, მოსწავლეებმა შეძლონ თვითონ შეასრულონ ინსტრუმენტებზე აკორდების შესწავლა და დაკვრა; სამეჯლისო ცეკვების სექცია; ხელმარჯვეთა სექცია; კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი წრე; დეკლამატორთა სექცია; ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის განვითარების კლუბი ,,მწვანე ერთობა“ , რომლის მიზანია კლიმატით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემების ადაპტაციისაა და შერბილების ღონისძიებების გატარებისა და ახალგაზრდობაში გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლება. გარდა ამისა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს უმცროსკლასელთა კლუბი ,,გლობუსი“; კინოკლუბი; საბავშვო-საყმაწვილო თეატრალური სექცია; ნორჩ-შემოქმედთა და ხელოვნების მოყვარულთა კლუბი ,,მუზა“; შემოქმედებით წრეებში: ქართული ხალხური ცეკვა, სამეჯლისო ცეკვა, საესტრადო სიმღერა, ხალხური ხიმღერა, დაწესებულია გადასახადი ერთ მოსწავლეზე 15(თხუთმეტი) ლარი; კომპიუტერული პროგრამების სწავლების გადასახადი ერთ მოწავლეზე 20(ოცი) ლარი.

3.4. განათლების ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 04) ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი- 27880 ლარი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა გულისხმობს, სენაკის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებას; სააღმზრდელო

და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: სენაკის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლება, ბავშვების ფიზიკური და სულიერი აღზრდა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

	ღონისძიებისდასახელება	ჩატარების დრო	თანხა (ლარი)
1	საგუნდო კოლექტივების ზონალური დათვალიერება	მარტი	1000
2	ექსკურსიები ნოქალაქევის მუზეუმ ნაკრძალში – ,,გამგეობის საჩუქარი"	წლის განმავლობაში	0
3	ეტალონი	წლის განმავლობაში	2960
4	ეტალონზე თბილისში მოსწავლეთა ტრანსორტირება	წლის განმავლობაში	1120
5	სენაკის ფესტივალი–2016	მაისი	20000
6	ნოქალაქევის საზაფხულო სკოლა	ივლისი	1200
7	საველე არქეოლოგია	სექტემბერ–ოქტომბერი	0
8	სასწავლო ექსკურსიები სამხატვროს სკოლის მოსწავლეებისათვის – ,,ხატვა ბუნების წიაღში"	სექტემბერ–ოქტომბერი	0
9	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის 80 წლის იუბილე	ოქტომბერი	0
10	გაუთვალისწინებელი ხარჯები	წლის განმავლობაში	0
11	გამგებლის სტიპენდია	წლის განმავლობაში	1600
	სულ		27880

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეუწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების

ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

4.1.1.სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამულიკოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში სპორტის ხელშეწყობის კუთხით ფუნქციონირებს სასპორტო გაერთიანება (რომლის შემადგენლობაში შედის სპორტის სასახლე, სასპორტო სკოლა). პროგრამის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს სპორტის პროპაგანდა, სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების გამოვლენას, მათი დაოსტატებისათვის ზრუნვას, სპორტული ღონისძიებების მომზადებას და ჩატარებას. სპორტისა და ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ორგანიზაციას. ამჟამად ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობების 29 სექცია, მათ შორის: ბერძნულ-რომაულჭიდაობის (4 სექცია) 82 ბავშვზე; კრივის (4 სექცია) 66 ბავშვზე; რაგბი (3 სექცია) 87 ბავშვზე; ჭადრაკი (3სექცია) 52 ბავშვზე; კარატეს (3 სექცია) 56 ბავშვზე; კალათბურთი (4 სექცია) 64ბავშვზე; ძიუდო (2სექცია) 30 ბავშვზე; ფუნქციონირებს ტაიკვანდოს 2 სექცია 42 ბავშვზე,მაგიდის ჩოგბურთის 1 სექცია 11ბავშვზე. ხელბურთის 1 სექცია 25 ბავშვზე, ფუტზალის 1 სექცია 27 ბავშვზე; მკლავჭიდის 1 სექცია 10 ბავშვზე; ქვიშის ფეხბურთის 1 სექცია 15 ბავშვზე. წლის განმავლობაში ეწყობა სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონატისათვის მონაწილეთა შესარჩევი ტურნირი 2007-2012 წწ. დაბადებულებს შორის ჭადრაკში, შიდა ღია ჩემპიონატი მოკლე ნარდში, შ. ჯავახიას და თ.ვახანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი კრივში,ნ.ჯანჯღავას ხსოვნის ტურნირი ჭადრაკში, 9 აპრილისადმი მიძღვნილი პირველობა სკოლებს შორის (ვაჟები), ნ.ესებუას ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები ქართულ ჭიდაობაში,26 მაისისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი გოგონებს შორის კალათბურთში, მუნიციპალიტეტის პირველობა სკოლებს შორის მხიარული სტარტები, დამსახურებული მწვრთნელის ტ.გოგოლისა და თ. ჩვამანიას ხსოვნის ტურნირი 1997-98წწ. დაბადებულთა შორის, მუნიციპალიტეტის პირველობა სკოლებს შორის: მაგიდის ჩოგბურთში და ხელბურთში, ზაზა ფაჩულიას სახელობის ფესტივალი (სენაკი მოწვეული გუნდები), რაგბისა და ლელოს ფესტივალი მოსწავლეებს შორის რაგბში და ლელოში,რეგიონალური პირველობა (სკოლისასაკი) კარატეში, დავით და მედეა ჩაჩიბაიების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი ჭადრაკში, კ.ჯოჯუას,შ.მორჩილაძის და ა.მურღულიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მამუკა ჯალაღონიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია პირველობა ტაიკვანდოში, ი.ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში, კოკა ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი კალათბურთში, მუნიციპალიტეტის პირველობა სკოლებს შორის მკლავჭიდში.

4.1.2. ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ერთი გოგონათა და შვიდი ვაჟთა გუნდი, სულ დღეის მდგომარეობით, არის 151 სპორტსმენი. მათშორის:ექვსი გუნდი მონაწილეობს სამეგრელოს რეგიონის ჭაბუკთა გათამაშებაში,ხოლო ერთი გუნდი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგის გათამაშების მონაწილეა.ცენტრის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მოსწავლეების(სპორტმენების), აგრეთე სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკებისა და გოგონების მზადების წლიური საწვრთნელო პროცესების ორგანიზებას, როგორც საქართველოს საფეხბურთო ნაკრების, ასევე უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის რეზერვების მომზადება. პროგრამა ხელს უწყობს ახალგაზრდა ფეხბურთელების დაოსტატებას. პროგრამა ითვალისწინებს აგერთვე ცენტრის მოსწავლეებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და სამწრთვნელო ბაზის შექმნას, სამედიცინო დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესების ორგანიზებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

4.1.3.სპორტული ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 24200 ლარი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ახალგაზრდების ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მოტივაციის გაზრდა, სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების წახალისება, სხვადასხვა სპორტული

ღონისძიებების ორგანიზება. ოლიმპიზმის იდეების დამკვიდრება-განვითარება.

მოსალოდნელი შედეგი: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები; მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი. ცნობილი სენაკელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების პატივგება; მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება.

ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	თანხა (ლარი)
1	ჟ.შარტავას სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება ფუთძალში სკოლებს შორის(ვაჟები)	26 თებერვალი –7 მარტი	538
2	სენაკის ჩემპიონატი ფრენბურთში სკოლებს შორის გოგონები და ვაჟები	3-6 აპრილი	612
3	საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მინი საფეხბურთო ტურნირი გოგონათა შორის	20-26 მაისი	477
4	სენაკის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ფეხბურთში სკოლებს შორის	5-11 ივნისი	1010
5	ქ.სენაკის 2016წლის ჩემპიონატი მინი ფეხბურთში	8-27 ივლისი	0
6	სენაკის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მოკლე ნარდში მოყვარულთა შორის	23-25 აგვისტო	0
7	ემილ ყურაშვილის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება	27 სექტემბერი–5 ოქტომბერი	0
8	სენაკის მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ჭადრაკში სკოლებს შორის (გოგონები და ვაჟები)	10-15 ნოემბერი	600
9	ტურნირი ფრენბურთში	წლის განმავლობაში	500
10	ჩემპიონატი კალათბურთში	წლის განმავლობაში	800
11	2016 წლის საუკეთესო სპორტსმენთა და მწვრთნელთა გამოვლენა–დაჯილდოებისათვის საზეიმო ცერემონიალი	30 დეკემბერი	4740
12	შეჯიბრება ცხენოსნობაში	ნოემბერი	14923
	სულ		24200

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ჩატარდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. კულტურულ ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აიპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" სუბსიდიური დაფინანსება, რომელიც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, თანამშრომლობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, ატარებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. აწყობს სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას სამხატვრო გალერეის საგამოფენო სივრცეში. მართავს და მითითებებს აძლევს მის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულებს. კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 ბიბლიოთეკა, ერთი საჯარო, ერთი საბავშვო და 15 სათემო. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკები წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები ემსახურება 10900 მკითხველს, მათ შორის 1-9 კლასის 2800 მოსწავლეს. ბიბლიოთეკები იყო და რჩება ინფორმაციის წყაროდ. ბიბლიოთეკებში ყოველწლიურად შემოდის ახალი ლიტერატურა. გასულ წელს შემოვიდა 1929 ცალი წიგნი. გამოწერილია ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 30 დასახელების ჟურნალ-გაზეთი, ყველა თემი ღებულოს რამდენიმე დასახელების პერიოდიკას. ბიბლიოთეკაში ტარდება სხვადასხვა სახის მასობრივი ღონისძიებები, ეწყობა შეხვედრები, მკითხველთა კონფერენციები, ატარებს საუბრებს, აწყობს გამოფენებს, მართავს სხვადასხვა სახის მასობრივ ღონისძიებებს. ბიბლიოთეკებს გააჩნია თავისი ფუნქციები და დადგენილი წესებითა და ფუნქციებით ემსახურება ყველა კატეგორიების მკითხველს, მიუხედავად ასაკისა, მრწამსისა. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ლიტერატურის ფართო ინფორმირებას. ბიბლიოთეკის საქმიანობას წარმართავენ სპეციალისტები, ბიბლიოთეკარები, რომელთაც აქვთ კვალიფიკაცია და პროფესიონალური ცოდნა, პასუხისმგებელნი არიან მთლიანად წიგნად ფონდზე და საერთოდ მუშაობაზე. მუნიციპალიტეტში სულ არის 158600 წიგნი. ცენტრი კოორდინაციას უწევს ჟ.შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მისი მისია მდგომარეობს მის ტერიტორიაზე ოდითგანვე და დღემდე მცხოვრებ ხალხთა ისტორიის ყოფისა და შემოქმედებითი სულის შენარჩუნებაში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა სტუმრისათვის მის გაცნობაში. მუზეუმი ეძიებს , იკვლევს და სწავლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ ფასეულობებს, ორიენტირებულია კოლექციების შევსებაზე. დგება საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა პროგრამები. მუზეუმში განათლებას იღებს ყველა კატეგორიის ადამიანი, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის იგი წარმოადგენს ცოდნის განმტკიცების კერას. მუზეუმის ფონდშ ი 4617 ექსპონატია.ჟიული შარტავას, თეოფანე დავითაიას. არნოლდ ჩიქობავას მუზეუმების მიზანია მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პროპაგანდა-პოპულარიზაცია. სამუზეუმო კოლექციებშიძირითადად წარმოდგენილია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალებითა და პირადი ნივთებით. მუზეუმის დამთვალიერებლის უმრავლესობა სენაკის და მეზობელი მუნიციპალიტეტების მკვიდრია. დამთვალიერებელთა შორის ჭარბობს მოსწავლე-ახალგაზრდობა. კულტურის სახლის საქმიანობას წარმართავს სპეციალისტები და კოორდინატორები, რომლებიც ქალაქად და თემებში აწარმოებენ კულტურულ და მასობრივ ღონისძიებებს. აგროვებენ ფოლკლორის ნიმუშებს და ახდენენ მის პოპულარიზაციას. ამასთან, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სმსახური ხელმძღვანელობს კულტურული ღონისძიებების უზრუნველყოფას კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვასა და მისი რეალიზაციის კოორდონაციას. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი და შემოქმედებითი ახალგაზრდების მხარდაჭერას, კულტურიის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალების, გამოფენების და სხა აქტივების ორგანიზებას.

4.2.2 . სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა" რაც გამოიხატება ძირითადად შრომის ანაზღაურების სუბსიდირებაში. სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო(ვიოლინო) განყოფილება, საგუნდო სიმღერის სპეციალობა – სწავლის ხანგრძლივობა 7 წელი, საესტრადო განყოფილება, გიტარისსა და ხალხური საკრავთა ფასიანი ჯგუფები - სწავლის ხანრგძლივობა 5 წელია. ბავშვთა რაოდენობა სკოლაში შეადგენს 198 აღსაზრდელს. მშობელთა შენატანი თვეში: საესტრადო განყოფილებაზე 18 ლარია; ფორტეპიანოზე 20 ლარი; ვიოლინოზე 15 ლარი; საგუნდოზე 20 ლარი. ფუნქციონირებს ფასიანი ჯგუფები: გიტარა 20 და 25 ლარი. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ შიდასასკოლო, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში. სკოლა ზრუნავს გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები, დაეხმაროს

მათ პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში, მუსიკალური კარიერის გაგრძელებაში

4.2.3. საბავშვო -სამხატვრო სკოლის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსირდება აიპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა". ბავშვთა რაოდენობა სკოლაში შეადგენს 60 ბავშვს. სკოლაში ეწყობა შიდა საკლასო გამოფენები. სემესტრის ბოლოს საერთო სასკოლო გამოფენა. გამოფენებში ვლინდებიან საუკეთესო ნიჭის მქონე მოსწავლეები. წარმატებული მოსწავლეები ჯილდოვდებიან სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.მშობელთა შენატანი თვეში 5 ლარი.

4.2.4. კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 17200 ლარი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები უზრუნველყოფს კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვასა და მისი რეალიზაციის კოორდინაციას. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერას, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალების, გამოფენების და სხვა აქტივობების ორგანიზებას.

მოსალოდნელი შედეგი: საზოგადოების პოზიტიური განწყობისა და ესთეტიკური დონის ამაღლება, უნიკალური და უძველესი ქართული კულტურის ფასეულობების მომავალი თაობებისათვის გადაცემა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდა თეატრალური, სამხატვრო და სამუსიკო დარგების მიმართ, ინტელექტუალური დონის ამაღლება.

ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	თანხა (ლარი)
1	დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	3 მარტი	0
2	ქორეოგრაფიის დღე (შალვაჯამუ) გარუჩავას ვარსკვლავის გახსნა)	მაისი	4000
3	საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიზღვნილი საზეიმო ღონისძიება	26 მაისი	0
4	8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, მემორიალური დაფის დამზადება-მონტაჟი	ივლისი	950
5	აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება	27 სექტემბერი	0
6	სახალხო დღესასწაული ,,ეგრისობა"	ოქტომბერი	0
7	პატრიარქის აღსაყდრების დღისადმი მიზღვნილი საღამო	25 დეკემბერი	0
8	სენაკის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების შესახებ მონაცემთა–საინფორმაციო ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება	წლის განმავლობაში	0

9	საახალწლო ღონისძიება	31 დეკემბერი	0
10	შემოქმედებითი, საიუბილეო საღამოები, გასტროლები, კულტურული ინიციატივები და სხვა გაუთავლისწინებელი ხარჯები	წლის განმავლობაში	0
11	ფეიერვერკის შეძენა	წლის განმავლობაში	2900
12	ფონოგრამის ჩაწერა	წლის განმავლობაში	950
13	ღონისძიებების დარბაზის იჯარა	წლის განმავლობაში	1270
14	კულტურული ღონისძიებების საჭირო პოლიგრაფიული ინვენტარი (ბუკლეტები, აფიშები, ბანერები, მოსაწვევები, პროგრამები, სიგელები, მედლები და სხვა)	წლის განმავლობაში	2130
15	ხელშეკრულება რეჟისორთან	წლის განმავლობაში	4000
16	დეკორაციები	წლის განმავლობაში	1000
	სულ		17200

4.2.5. თეატრალური კულტურის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სსიპ სენაკის აკ.ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დაფინანსება, რაც გამოიხატება შრომის ანაზღაურების სუბსიდირებაში. თეატრის ძირითად მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საგანს წარმოადგენს მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა, მათი მეშვეობით თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა და მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა, თეატრალური ხელოვნების განვითარება, ტრადიციების აღორძინება და ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა. თეატრში არსებობს რეპერტუარი, რომელიც ეხმარება საზოგადოებას, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წინაშე არსებული პრობლემების დაძლევაში. ყოველწლიურად თეატრი ანხორციელებს 3-4 სპექტაკლს როგორც საბავშვო, ასევე მოზარდ მაყურებელთათვის.

4.3. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 16618 ლარი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდების სოციალური დაცვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა, საქართველოს მასშტაბით ექსკურსიებისა და ახალგაზრდული ბანაკების მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგი: ახალგაზრდებში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი, ახალგაზრდების დაახლოება, მათი მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარება, ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა რაიონის ცხოვრებაში.

ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიების დასახელება	თანხა (ლარი)	ღონისძიების ჩატარების
1	ტრენინგები ახალგაზრდებისთვის	996	იანვარი - თებერვალი

2	წიგნის მოყვარულთა კლუბის ჩამოყალიბება	1495	მარტი-სექტემბერი
3	ღონისძიება ინტელექტის დღესთან დაკავშირებით	0	აპრილი
4	დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა	995	26 მაისი
5	ნარკომანისთან ბრძოლის დღის აღნიშვნა	630	26 ივნისი
6	ახალგაზრდული ბანაკის ორგანიზება	0	ივლისი
7	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა	5000	12 აგვისტო
8	ექსკურსია ანაკლიის აკვაპარკში	1452	აგვისტო
9	სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული ღონისძიება	830	სექტემბერი
10	ექსკურსია იმერეთში გელათში, ბაგრატი, მოწამეთა და სათაფლიას ნაკრძალი	2220	ოქტომბერი
11	ეკოკვირეულის აღნიშვნა	500	ოქტომბერი
12	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ახალი წლის მილოცვა	1500	30 დეკემბერი
13	საახალწლო ნაძვის ხის განათების ცერემონიალი	1000	25 დეკემბერი
	სულ ჯამი	16618	

4.4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოწყობა და პატრონობა, რაც გულისხმობს სასფლაოებზე ბალახის, ბუჩქების და ხეების გაკრეჭას; წყალრანირების სისტემის, წყლის ქსელის, გზების შემორაგვას, საფეხურების და სასაფლაოს სხვა სტრუქტურების წესრიგში მოყვანას; სასაფლაოების მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების შეძენას და მომსახურებას; მიცვალებულის ნეშტის დაკრძალვისათვის საჭირო მომსახურებას; სასაფლაოების ტერიტორიის (გასასვლელები, ბილიკები, საზოგადოებრივი სარგებლობის და სხვა ადგილები) რეგულარულ დაგვა-დასუფთავებას, მწვანე ნარგავების კარგ მდგომარეობაში მოყვანას და სხვა; სათანადო ადგილზე ნაგავსაყრელების მოწყობას.

4.5. საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა(პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შპს – საინფორმაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს გაზეთის გამოშვებას, საინფორმაციო ანალიტიკურ მომსახურებას უწევას მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ მოქალაქეებს, წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. ეწევა შეკვეთილი თუ სპეციალური ნორმების მომზადებას, სხვა სპეციფიკური (პერიოდული გამოცემისათვის დამახასიათებელ) სამუშაობს. ეწევა სხადასხვა სახის საგამომცემლო საქმიანობას, აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას, ლიტერატურას, ხელოვნებასა და საზოგადოებრივი დარგების შესახებ, ეწევა საგამომცემლო საქმიანობას.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- ეპიდზედამხედველობის პროგრამას, რომელიც მოიცავს გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლს; პირველადი ეპიდზედამხედველობის განხორციელებას; ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას;
- იმუნიზაციის პროგრამას, რომელიც მოიცავს იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და მასზე ანგარიშგებას დადგენილი წესის მიხედვით; იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება; იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინულ ანალიზს, შეფასებას, დაზუსტებას; ვაქცინების, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრას; ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის ლოჯისტიკაზე ზედამხედველობას; დამხმარე ზედამხედველობის განხორციელებას მუნიციპალიტეტში შემავალ პჯდ დაწესებულებებში.
- პარაზიტოლოგიის პროგრამა, რომელიც მოიცავს პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგულ კვლევას; მალარიის სკრინინგულ კვლევას კერებში და კერის გარშემო; მალარიის დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკური მკურნალობას.
- პროფილაქტიკური მედიცინა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას; საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებერივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობას.

5.2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურეობითა და მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფას, შობადობის წახალისებას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურებას, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულო დღეებში დახმარებას, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას, სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარებას, ჯანმრთელობა გაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას, იშვიათი დაავადების მქონე ბავშვების დახმარებას, მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარებას, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარებას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა სოციალურ დახმარებას, აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარებას დასოციალურად დაუცველი მოსახლეობის საამშენებლო მასალებით დახმარებას. აღნიშნული პროგრამა მთლიანობაში უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურებისა და მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი და

მეურვეობასმოკლებული მოსახლეობის დღეში ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფა (გარდა კვირა დღისა) ყოველკვარტალურად ტკბილეულისა და სადღესასწაულოდ საჩუქრების გადაცემა. ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა: მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის 180 ბენეფიციარი. გათვალისწინებულია ამბულატორიული მომსახურეობის გაწევა მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციულ ერთეულში და მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ბენეფიციარებისათვის,რაც ითვალისწინებს სხვადასხვა სამედიცინო პროფილის ექიმების მიერ ჯანმრთელობაგაუარესებული მოქალაქეების გამოკვლევას, ანალიზს, დიაგნოზირებას, რეცეპტის გამოწერას და გარკვეული მედიკამენტების უფასოდ ადგილზე გაცემას.

5.2.1.1. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:158505 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ა(ი)პ ,,სენაკის მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურეობისა და მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი“.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი და მეურვეობას მოკლებული მოსახლეობის დღეში ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფა (გარდა კვირა დღისა) და ყოველკვარტალურად ტკბილეულისა და სადღესასწაულოდ საჩუქრების გადაცემა. ბენეფიციართა რაოდენობა: 180.

5.2.1.2. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურების პროგრამა

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 64195 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:ა(ი)პ,,სენაკის მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურეობისა და მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრი“.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ამბულატორიული მომსახურეობის გაწევა მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციულ ერთეულში და მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის ბენეფიციარებისათვის, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა სამედიცინო პროფილის ექიმების მიერ ჯანმრთელობაგაუარესებული მოქალაქეების გამოკვლევას, ანალიზს, დიაგნოზირებას, რეცეპტისგამოწერას და გარკვეული მედიკამენტების უფასოდ ადგილზე გაცემას.

5.2.2.შობადობის წახალისების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 18000 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შობადობის წახალისება. მესამე და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში გაიცემა ფულადი დახმარება 200 ლარი. დახმარების მისაღებად სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილის ერთ-ერთმა მშობელმა გამგეობაში უნდაწარადგინოს წერილობითი განცხადება; მშობლების პირადობის მოწმობის ასლები; მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი; შვილების (მათ შორის ახალშობილის) დაბადების მოწმობის ასლები; საბანკო პირადი ანგარიშის ნომერი; დახმარება გაიცემა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამართლებრივი აქტით, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

5.2.3. კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების პროგრამა(პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 18 700 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება, კერძოდ; დევნილი მოქალაქის ოჯახზე 200 ლარი; ომის ვეტერანის ოჯახზე 250 ლარი. თანხის მისაღებად გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის ოჯახის წევრის მიერ გამგეობაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; გარდაცვალების მოწმობის ასლი; გარდაცვლილის იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობის ასლი; სარიტუალო მომსახურების თანხის მისაღებად გარდაცვლილი ომის ვეტერანის ოჯახის წევრის მიერ გამგეობაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; გარდაცვლილის ომის მონაწილის პლასტიკური ბარათის ქსერო ასლი; ომის ვეტერანის გარდაცვალების მოწმობის ასლი;განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

5.2.4. სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა (პროგრამულიკ ოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 10600 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: საახალწლო საჩუქარი კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ ბავშვებისათვის (550 ბენეფიციარი). შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ეკლესია-მონასტრებისათვის საჩუქრის (პროდუქტების) გადაცემა; საახალწლო და სააღდგომო საჩუქარი მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის ბენეფიციარებისათვის (180 ბენეფიციარი). საახალწლო საჩუქარი დედ-მამით ობლებისა და 100 წელს გადაცილებულებისათვის. საახალწლო და სააღდგომო საჩუქარი შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისათვის (50 ბენეფიციარი); საახალწლო საჩუქარი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამაში ჩართული ოჯახებისათვის (22 ოჯახი)

5.2.5. ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 16500 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება, კერძოდ: სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე 2500 ლარის ოდენობით; ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში 1000 ლარით. დახმარების მისაღებად დაზარალებულმა მოქალაქემ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს: წერილობითი განცხადება;პირადობის მოწმობის ასლი; აქტი (ხანძრის შესახებ), გაცემული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ. სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ; ცნობა (ხანძრის შესახებ), გაცემული შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ქ.სენაკის სახანძრო-სამაშველო განყოფილების მიერ; ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ (განცხადების განმხილველი სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში).

5.2.6. სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07)

პროგრამის ბიუჯეტი: 3600 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

5.2.6.1 სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 1600 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სოციალური ადაპტაციის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარებისათვის ყოველკვარტალურად 200 ლარის გაცემას (5 ბენეფიციარი).

დახმარების მისაღებად მოქალაქემ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; განცხადებაში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი;

5.2.6.2. ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2 000 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის მინიჭების შემდგომ მოქალაქეზე ერთჯერადად 200 ლარის გაცემას. დახმარების მისაღებად მოქალაქემ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში უნდა წარადგინოს: წერილობითი განცხადება; პირადობის მოწმობის ასლი; განცხადებაში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ.

5.2.7. ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08)

პროგრამის ბიუჯეტი: 334900 ლარი.

პროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი:

პროგრამა ითვალისწინებს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ჯანმრთელობა გაუარესებული მოქალაქეების სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

5.2.7.1. სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

პროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ა) სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის (გარდა ნუშურებისა და ადენოიდების ქრონიკული დაავადებისას დაგეგმილი ადენოტონზილექტომიის, ესთეტიკური ქირურგიის და

კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის შემთხვევებისა) თანადაფინანსების პირობებში 18 წლამდე მოზარდებს დახმარება გაეწევა სრულად, მაგრამ არაუმეტეს 1500 ლარის;

ბ) 500 ლარამდე თანადაფინანსების შემთხვევაში (გარდა ნუშურებისა და ადენოიდების ქრონიკული დაავადებისას დაგეგმილი ადენოტონზილექტომიის, ესთეტიკური ქირურგიის და კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის შემთხვევებისა) სრულწლოვან ბენეფიციარებს დახმარება გაეწევა 300 ლარით; სხვა შემთხვევაში, ბენეფიციარს დახმარება გაეწევა 300 ლარს დამატებული 500 ლარის ზემოთ გადასახდელი თანხის 30%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა;

გ) სენაკის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებს „C“ ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე დაავადების სტადიის დიაგნოსტირებისათვის აუცილებელი კვლევების თანადაფინასებისათვის დახმარება გაეწევა 150 ლარით.

სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების მისაღებად თავად ბენეფიციარის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ გამგეობაში წარდგენილი უნდა იქნეს განცხადება; განმცხადებლის პირადობის მოწმობის ქსეროასლი; სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინოდო კუმენტაცია - ფორმა №100; ანგარიშ-ფაქტურა; კალკულაცია; მომართვა ჯანდაცვის მომსახურების სააგენტოდან საყოველთაო დაზღვევის მიერ დაფინანსების ოდენობის შესახებ. დაფინანსება ხორციელდება შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გამწევი დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარზე გაცემული საგარანტიო წერილით.

5.2.7.2..მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებისადა თანადაფინანსების ქვეპროგრამა

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

პროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ა)სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე მედიკამენტოზური მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში **დაფინანსება განხორციელდება წელიწადში ერთხელ** 70 ლარის ფარგლებში.

ბ) ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიოთერაპიული და იმუნოთერაპიული მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება წელიწადში ორჯერ სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პირობების შესაბამისად.

გ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პაციენტთა **მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება განხორციელდება წელიწადში ერთხელ** 100 ლარის მედიკამენტებით.

დახმარების მთხოვნელმა, განცხადებასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა; ანგარიშფაქტურა აფთიაქიდან; ფორმა N100 სამედიცინო დაწესებულებიდან და სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში). დაფინანსება ხორციელდება შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გამწევი დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ბენეფიციარზე გაცემული საგარანტიო წერილით.

5.2.8. თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 23400 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას, კერძოდ ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯების დაფინანსებას 100 ლარით (19 ბენეფიციარი).

5.2.9. იშვიათი დაავადების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 6650 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს იშვიათი დაავადების მქონე ბავშვების დახმარებას. კერძოდ, თითოეულბავშვზე კვარტალურად გაიცემა 350 ლარი; (5 ბენეფიციარი).

5.2.10. მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა(პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 17960 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მრავალშვილიანი (5 და 5-ზედმეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ყოველკვარტალურ დახმარებას, თითოეულ ბავშვზე 40 ლარის ოდენობით; (20 ოჯახი) დახმარების მისაღებად მრავალშვილიანმა (5 და 5-ზე მეტშვილიან 18 წლამდე ასაკის) ერთ-ერთმა მშობელმა (მეუღლემ, მზრუნველმა) გამგეობაში უნდა წარმოადგინოს:წერილობითი განცხადება;მშობლის პირადობის მოწმობის (გარდაცვლილის შემთხვევაში - გარდაცვალების მოწმობის) ასლები; მეურვის (მზრუნველის) შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ გაცემული მეურვეობისა და მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და მეურვის (მზრუნველის)პირადობის მოწმობის ასლი; მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი; შვილების დაბადების მოწმობის ასლები.

5.2.11. დედ-მამითობოლ ბავშვებზე დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 13)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 1800 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარებას, კერძოდ, ყოველკვარტალურად ერთბავშვზე გაიცემა 100 ლარი. (5 ბენეფიციარი) დახმარების მისაღებად დედ-მამით ობოლი ბავშვების მეურვემ გამგეობაში უნდა წარმოადგინოს: წერილობითი განცხადება; ბავშვის (ბავშვების) პირადობის მოწმობის ასლი (ასლები); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს სენაკის განყოფილებიდან მეურვის ვინაობის შესახებ;მეურვის პირადობის მოწმობის ასლი.

5.2.12. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 14)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 20900 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინდივიდუალურ დახმარებას, გეკერძოდ;

ა) მხედველობის პრობლემის მქონე I და II ჯგუფის ინვალიდებზე წელიწადში ორჯერ ერთ მოქალაქეზე გაიცემა 100 ლარი; (49 ბენეფიციარი)დახმარების მისაღებად მხედველობის პრობლემის

მქონე I და II ჯგუფის ინვალიდის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის ან მისი წარმომადგენლის მიერ გამგეობაში წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება; მხედველობის პრობლემის მქონე I და II ჯგუფის ინვალიდის პირადობის მოწმობის ასლი; წარმომადნლის შემთხვევაში - წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი პირადობის მოწმობის ასლი; ინვალიდობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ბ) სმენადაქვეითებულ პირებზე (I და II ჯგუფის ინვალიდებზე) წელიწადში ორჯერ ერთ მოქალაქეზე გაიცემა 100 ლარი (25 ბენეფიციარი) დახმარების მისაღებად სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯები) მოქალაქის მიერ გამგეობაში წარდგენილი უნდაიქნეს:წერილობითი განცხადება;ყრუ-მუნჯიმ ოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი; წარმომადგენლისშემთხვევაში - წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი პირადობის მოწმობის ასლი. ინვალიდობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

გ) ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომითა და აუტიზმით დაავადებულ მოზარდებზე წელიწადში ორჯერ ერთ მოზარდზე გაიცემა 100 ლარი; (50 ბენეფიციარი) ქვეპროგრამის ამოცანაა განვითარების შეფერხების რისკის ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნება გონებრივი განვითარების შეფერხების (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი) მქონე 0-18 წლამდე ასაკის მოზარდები, რომლებზეც წელიწადში ორჯერ გაიცემა 100 ლარი (50 ბენეფიციარი). ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად მოზარდის კანონიერი წარმომადგენელი/მინდობით აღმზრდელი განცხადებასთან უნდა ერთოდეს:პირის კანონიერი წარმომადგენლის /მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი საბუთის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი; ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა).

5.2.13. ხანდაზმულთა სოციალური დახმარების პროგრამა (პროგრამულიკოდი 06 02 15)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 3700 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთა სოციალური დახმარებას, კერძოდ;

ა) 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე კვარტალურად ერთ ხანდაზმულზე გაიცემა 100 ლარი (5 ბენეფიციარი); დახმარების მისაღებად ხანდაზმული (100 დამეტი წლის ასაკის) პირის ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერგამგეობაში წარდგენილი უნდა იქნეს: ხანდაზმული პირის წერილობითი განცხადება;ხანდაზმული პირის პირადობის მოწმობის ასლი;განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი – თუ განმცხადებელი ხანდაზმული პირის ოჯახის სრულწლოვანი წევრია;

ბ) სამამულო ომის ვეტერანზე (9 მაისს გამარჯვების დღესთან დაკავშირებით) გაიცემა 200 ლარი (12 ბენეფიციარი). დახმარების მისაღებად გამგეობაში წარდგენილი უნდა იქნეს: წერილობითი განცხადება; სამამულო ომის ვეტერანის პირადობის მოწმობის ასლი; სამამულო ომის ვეტერანის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; წარმომადგენლის შემთხვევაში – წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისიპირადობის მოწმობისა სლი.

5.2.14. აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 16)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2 500 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს აგვისტოს ომის დროს ომში

დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარებას წელიწადში ერთხელ 500 ლარით. (5 ბენეფიციარი)

5.2.15. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 17)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 80 000 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანიას სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. კერძოდ, ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახზე საკუთრებაში/ფაქტობრივ მფლობელობაშია რსებული ავარიული საცხოვრებელი სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოებისათვის 2000 ლარის ფარგლებში საამშენებლო მასალების (აზბესტოცემენტის ტალღოვანი ფურცელი, ხის მასალა, თუნუქის ფურცელი) გადაცემას. დახმარების მისაღებად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ქსეროასლი; სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; საცხოვრებელი სახლის საკუთრების/ფაქტობრივი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი; სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის შუამდგომლობა. წარმოდგენილი განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვა განხორციელდება ერთობლივი კომისიის (შემდგომში – კომისიის) მიერ. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 9 წევრით,მათ შორის საკრებულო კომისიაში წარმოდგენილია 3 წევრით. კომისიასხდომისოქმისადა დასკვნის საფუძველზე ღებულობს გადაწყვეტილებას თითოეულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარის ფარგლებში სამშენებლო მასალის გამოყოფის თაობაზე. კომისიის სხდომის ოქმი დასკვნასთან ერთად წარედგინება სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. გამგებლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე გამოყოფილი სამშენებლო მასალის გადაცემა განხორციელდება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.გადასაცემი სამშენებლო მასალის შეძენა განხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

5.2.16. დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 18)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 3 000 ლარი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებული პათოლოგიების (ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია და სქოლიოზი) ამპათოლოგიების დროული მკურნალობისა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის დაწყებითი კლასების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები (750 ბენეფიციარი)

თავი III

სენაკის მუნიციპალიტეტის ასიგნებები

მუხლი 16. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები.
განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

			2015 წლის ფაქტი	2016 წლის პროგნოზი

ორგანი ზაციული კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	სენაკის მუნიციპალიტეტი	10204,4	11262,3	3861,1	7401,2	11834,1	3977,4	7856,7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	182	158	0	158	164	0	164
	ხარჯები	6888,5	7554,2	321,8	7232,4	7972,9	469,4	7503,5
	შრომის ანაზღაურება	2057,3	1916,5	0,0	1916,5	2190,7	0,0	2190,7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3315,9	3700,1	3539,2	160,9	3861,2	3508,0	353,3
	ვალდებულებების კლება	0,0	8,0	0,0	8,0	0,0	0,0	0,0
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2554,5	2597,4	0,0	2597,4	2768,6	0,0	2768,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	133	151	0	151	157	0	157
	ხარჯები	2424,5	2551,6	0,0	2551,6	2763,5	0,0	2763,5
	შრომის ანაზღაურება	1670,5	1836,8	0,0	1836,8	2112,2	0,0	2112,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	130,0	37,8	0,0	37,8	5,1	0,0	5,1
01 01	სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო	769,1	756,1	0,0	756,1	833,8	0,0	833,8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30	31		31	32		32
	ხარჯები	683,3	743,2	0,0	743,2	829,8	0,0	829,8
	შრომის ანაზღაურება	489,7	516,3	0,0	516,3	599,5	0,0	599,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	85,9	12,9	0,0	12,9	4,0	0,0	4,0
01 02	სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა	1741,3	1833,4	0,0	1833,4	1931,2	0,0	1931,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	103	120		120	125		125
	ხარჯები	1697,2	1808,4	0,0	1808,4	1930,1	0,0	1930,1

	შრომის ანაზღაურება	1180,8	1320,5	0,0	1320,5	1512,7	0,0	1512,7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	44,1	24,9	0,0	24,9	1,1	0,0	1,1
01 03	სარეზერვო ფონდი	0,0	0,0	0,0	0,0	2,7	0,0	2,7
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	2,7	0,0	2,7
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	0,0	8,0	0,0	8,0	1,0	0,0	1,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	1,0	0,0	1,0
01 04 01	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა	0,0	0,0	0,0	0,0	1,0	0,0	1,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	1,0	0,0	1,0
01 04 02	მგფ–ის და სხვა დავალიანებების დაფარვა	0,0	8,0	0,0	8,0	0,0	0,0	0,0
	ვალდებულებების კლება	0,0	8,0	0,0	8,0	0,0	0,0	0,0
01 05	საინფორმაციო უზრუნველყოფა	44,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	44,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
01 06	საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი	0,0	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,0
01 07	რეგიონის ფონდის შევსება	0,0	0,0	0,0	0,0	0,000	0,000	0,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	473,4	386,8	0,0	386,8	100,6	0,0	100,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	49,0	7,0	0,0	7,0	7,0	0,0	7,0
	ხარჯები	471,0	386,8	0,0	386,8	100,6	0,0	100,6
	შრომის ანაზღაურება	386,8	79,8	0,0	79,8	78,5	0,0	78,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	375,2	285,0	0,0	285,0	0,0	0,0	0,0

	მომუშავეთა რიცხოვნობა	42,0	0,0		0,0	0,0		0,0
	ხარჯები	375,2	285,0	0,0	285,0	0,0	0,0	0,0
	შრომის ანაზღაურება	317,0	3,6	0,0	3,6	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	98,2	101,8	0,0	101,8	100,6	0,0	100,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7,0	7,0		7,0	7,0		7,0
	ხარჯები	95,8	101,8	0,0	101,8	100,6	0,0	100,6
	შრომის ანაზღაურება	69,8	76,2	0,0	76,2	78,5	0,0	78,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3928,4	4799,2	3861,1	938,1	5147,8	3920,1	1227,8
	ხარჯები	778,8	1172,9	321,8	851,1	1334,9	412,1	922,8
	სხვა ხარჯები	0,0	342,8	321,8	21,0	431,0	412,1	18,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3149,7	3626,3	3539,2	87,0	3812,9	3508,0	305,0
03 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვა	2138,0	2428,0	2419,1	8,9	2116,8	1882,3	234,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2138,0	2428,0	2419,1	8,9	2116,8	1882,3	234,5
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	797,1	1032,3	153,7	878,6	945,8	0,0	945,8
	ხარჯები	778,8	905,1	75,0	830,1	903,8	0,0	903,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	18,3	127,2	78,7	48,5	42,0	0,0	42,0
03 02 01	ბინათმშენებლობა	8,4	75,0	75,0	0,0	3,9	0,0	3,9
	ხარჯები	0,0	75,0	75,0	0,0	3,9	0,0	3,9

	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 02 02	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6,9	78,7	78,7	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,9	78,7	78,7	0,0	0,0	0,0	0,0
03 02 03	კეთილმოწყობის, დასუფთავების და გამწვანების მოვლა-პატრონობის პროგრამა	772,0	825,3	0,0	825,3	894,9	0,0	894,9
	ხარჯები	772,0	825,3	0,0	825,3	892,9	0,0	892,9
03 02 04	ქალაქ სენაკში წყალსადენის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო დსამუშაოები	0,0	48,5	0,0	48,5	40,0	0,0	40,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	48,5	0,0	48,5	40,0	0,0	40,0
03 02 05	უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია	6,8	4,7	0,0	4,7	7,0	0,0	7,0
	ხარჯები	6,8	4,7	0,0	4,7	7,0	0,0	7,0
	სარეკლამო ბილბორდების მოწყობა	3,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 02 07	წყალსანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცის ღონისძიებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 02 08	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები	0,0	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,0
03 03	მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზები	0,0	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,0
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	663,1	671,3	671,3	0,0	674,3	653,8	20,5
	ხარჯები	0,0	214,1	214,1	0,0	148,3	148,3	0,0

	არაფინანსური აქტივების ზრდა	663,1	457,2	457,2	0,0	526,0	505,5	20,5
03 05	ვეტერინარიის ხარჯები	0,0	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,0
03 06	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები	126,4	355,7	306,3	49,4	416,4	393,5	23,0
	ხარჯები	0,0	53,8	32,8	21,0	278,8	263,8	15,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	126,4	301,9	273,5	28,5	137,7	129,7	8,0
03 08	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	203,9	310,8	310,8	0,0	990,5	990,5	0,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	203,9	310,8	310,8	0,0	990,5	990,5	0,0
03 09	სოფლის მეურნეობის ღონისძიება	3,6	3,6	0,0	3,6	4,0	0,0	4,0
	ხარჯები	2,4	2,4		2,4	4,0		4,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	1,2	0,0	1,2	0,0	0,0	0,0
	საგარეო	0,0	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,0
04 00	განათლება	1214,2	1222,9	0,0	1222,9	1416,1	57,3	1358,8
	ხარჯები	1191,3	1222,9	0,0	1222,9	1406,4	57,3	1349,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	22,8	0,0	0,0	0,0	9,7	0,0	9,7
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	1072,7	1058,8	0,0	1058,8	1158,8	0,0	1158,8
	ხარჯები	1056,4	1058,8	0,0	1058,8	1153,0	0,0	1153,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16,2	0,0	0,0	0,0	5,8	0,0	5,8
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	56,5	59,6	0,0	59,6	60,0	0,0	60,0
	ხარჯები	49,9	59,6	0,0	59,6	60,0	0,0	60,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

04 03	მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა	85,0	104,5	0,0	104,5	108,7	0,0	108,7
	ხარჯები	85,0	104,5	0,0	104,5	105,6	0,0	105,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	3,1	0,0	3,1
04 04	განათლების ღონისძიებების პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0	27,9	0,0	27,9
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	27,9	0,0	27,9
04 05	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0	60,7	57,3	3,4
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	59,9	57,3	2,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,8	0,0	0,8
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1329,8	1486,0	0,0	1486,0	1476,5	0,0	1476,5
	ხარჯები	1318,8	1450,0	0,0	1450,0	1458,5	0,0	1458,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11,0	36,0	0,0	36,0	18,0	0,0	18,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	518,0	656,0	0,0	656,0	615,7	0,0	615,7
	ხარჯები	518,0	620,0	0,0	620,0	602,6	0,0	602,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	36,0	0,0	36,0	13,1	0,0	13,1
05 01 01	სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა	326,0	395,2	0,0	395,2	394,2	0,0	394,2
	ხარჯები	326,0	395,2	0,0	395,2	389,6	0,0	389,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	4,6	0,0	4,6
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	192,0	260,8	0,0	260,8	197,3	0,0	197,3
	ხარჯები	192,0	224,8	0,0	224,8	188,8	0,0	188,8

	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	36,0	0,0	36,0	8,5	0,0	8,5
05 01 03	სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0	24,2	0,0	24,2
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	24,2	0,0	24,2
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	718,0	705,0	0,0	705,0	722,2	0,0	722,2
	ხარჯები	707,0	705,0	0,0	705,0	717,2	0,0	717,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11,0	0,0	0,0	0,0	5,0	0,0	5,0
05 02 01	კულტურულ ღონისძიებათა პროგრამა	333,0	360,0	0,0	360,0	360,0	0,0	360,0
	ხარჯები	332,0	360,0	0,0	360,0	355,0	0,0	355,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,0	0,0	0,0	0,0	5,0	0,0	5,0
05 02 02	სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	110,0	120,0	0,0	120,0	120,0	0,0	120,0
	ხარჯები	100,0	120,0	0,0	120,0	120,0	0,0	120,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 03	საბავშვო სამხატვრო სკოლის ხელშეწყობის პროგრამა	40,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
	ხარჯები	40,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების პროგრამა	1,0	0,0	0,0	0,0	17,2	0,0	17,2
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	17,2	0,0	17,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 05	თეატრალური კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	170,0	175,0	0,0	175,0	175,0	0,0	175,0
	ხარჯები	170,0	175,0	0,0	175,0	175,0	0,0	175,0
05 05	რელიგიური ორგანიზაციების	65,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

	ხელშეწყობა							
	ხარჯები	65,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 03	ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა	8,4	3,0	0,0	3,0	16,6	0,0	16,6
	ხარჯები	8,4	3,0	0,0	3,0	16,6	0,0	16,6
05 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	85,4	90,0	0,0	90,0	90,0	0,0	90,0
	ხარჯები	85,4	90,0	0,0	90,0	90,0	0,0	90,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 06	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	0,0	32,0	0,0	32,0	32,0	0,0	32,0
	ხარჯები	0,0	32,0	0,0	32,0	32,0	0,0	32,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	704,1	767,6	0,0	767,6	924,4	0,0	924,4
	ხარჯები	704,1	767,6	0,0	767,6	908,9	0,0	908,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	15,5	0,0	15,5
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	113,4	124,7	0,0	124,7	139,5	0,0	139,5
	ხარჯები	113,4	124,7	0,0	124,7	129,5	0,0	129,5
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	590,7	642,4	0,0	642,4	784,9	0,0	784,9
	ხარჯები	590,7	642,4	0,0	642,4	779,4	0,0	779,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	5,5	0,0	5,5
06 02 01	მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურებისა და მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	148,0	196,0	0,0	196,0	222,7	0,0	222,7
	ხარჯები	148,0	196,0	0,0	196,0	217,2	0,0	217,2
	არაფინანსური აქტივების	0,0	0,0	0,0	0,0	5,5	0,0	5,5

	ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	5,5	0,0	5,5
06 02 02	შობადობის წახალისების პროგრამა	9,0	13,8	0,0	13,8	18,0	0,0	18,0
	ხარჯები	9,0	13,8	0,0	13,8	18,0	0,0	18,0
06 02 03	ინდივიდუალური დახმარების პროგრამა	201,6	63,0	0,0	63,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	201,6	63,0	0,0	63,0	0,0	0,0	0,0
06 02 04	კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება	12,7	13,8	0,0	13,8	18,7	0,0	18,7
	ხარჯები	12,7	13,8	0,0	13,8	18,7	0,0	18,7
06 02 05	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	45,1	9,5	0,0	9,5	10,6	0,0	10,6
	ხარჯები	45,1	9,5	0,0	9,5	10,6	0,0	10,6
06 02 06	ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა	20,5	12,0	0,0	12,0	16,5	0,0	16,5
	ხარჯები	20,5	12,0	0,0	12,0	16,5	0,0	16,5
06 02 07	სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა	2,4	3,2	0,0	3,2	3,6	0,0	3,6
	ხარჯები	2,4	3,2	0,0	3,2	3,6	0,0	3,6
06 02 08	ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამა	86,1	171,7	0,0	171,7	334,9	0,0	334,9
	ხარჯები	86,1	171,7	0,0	171,7	334,9	0,0	334,9
	ციტრუსების სეზონის							

06 02 09	მოსავლის აღების ღონისძიებათა ხელშეწყობისა და მეციტრუსეობის დარგში დასაქმებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამა	65,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	65,4	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 02 10	თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარების პროგრამა	0,0	20,7	0,0	20,7	23,4	0,0	23,4
	ხარჯები	0,0	20,7	0,0	20,7	23,4	0,0	23,4
06 02 11	იშვიათი დაავადების მქონე ბავსვების დახმარების პროგრამა	0,0	7,0	0,0	7,0	6,7	0,0	6,7
	ხარჯები	0,0	7,0	0,0	7,0	6,7	0,0	6,7
06 02 12	მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარების პროგრამა	0,0	3,0	0,0	3,0	18,0	0,0	18,0
	ხარჯები	0,0	18,2	0,0	18,2	18,0	0,0	18,0
06 02 13	დედ–მამით ობოლ ბავშვებზე დახმარების პროგრამა	0,0	2,0	0,0	2,0	1,8	0,0	1,8
	ხარჯები	0,0	2,0	0,0	2,0	1,8	0,0	1,8
06 02 14	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა	0,0	14,1	0,0	14,1	20,9	0,0	20,9
	ხარჯები	0,0	14,1	0,0	14,1	20,9	0,0	20,9
06 02 15	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	0,0	5,6	0,0	5,6	3,7	0,0	3,7
	ხარჯები	0,0	5,6	0,0	5,6	3,7	0,0	3,7
06 02 16	აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულის ოჯახზე და მშვიდობიან მოქალაქეებზე დახმარების პროგრამა	0,0	2,5	0,0	2,5	2,5	0,0	2,5
	ხარჯები	0,0	2,5	0,0	2,5	2,5	0,0	2,5
06 02 17	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საამშენებლო მასალებით დახმარების პროგრამა	0,0	73,8	0,0	73,8	80,0	0,0	80,0

	ხარჯები	0,0	73,8	0,0	73,8	80,0	0,0	80,0
06 02 18	დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა	0,0	3,0	0,0	3,0	3,0	0,0	3,0
	ხარჯები	0,0	3,0	0,0	3,0	3,0	0,0	3,0
06 02 19	,,ინტეგრირებულ საქმიანობათა ცენტრის'' თანადაფინანსება სენაკში დაუცველი ფენებისათვის მომსახურების მიწოდებისა და კატასტროფებისათვის მედეგი თემების განვითარბის მიზნით	0,0	13,0	0,0	13,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	0,0	13,0	0,0	13,0	0,0	0,0	0,0
06 02 20	სოციალური პროექტების და ღონისძიებების დაფინანსება და თანადაფინანსების პროგრამა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0